წერილის ნომერი: **67-01183183599**
თარიღი: **14/11/2018**
პინი: **6981**

ადრესატი: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს გადმოეგზავნა თქვენი 23.10.2018 წლის #6/58977 (02.11.2018 წლის #17/01183062968-67) წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირზე, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების (ს/კ: 01.16.05.013.055; 01.16.05.013.054; 01.16.05.013.049) პრივატიზების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:01.16.05.013.055; 01.16.05.013.054; 01.16.05.013.049) განთავსებულია შენობა–ნაგებობები, მათი განკარგვის თაობაზე ქალაქგეგარებითი პოზიციის გაცემა სცდება ჩვენი სამსახურის კომპეტენციას.

ამასთან გაცნობებთ, რომ მითითებული მიწის ნაკვეთი მოქცეულია ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, ხოლო 01.16.05.013.055 საკადასტრო ერთეულზე არსებული შენობა–ნაგებობა წარმოადგენს კულტურული–მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს; შესაბამისად, საკითხის განხილვის მიზნით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი